3338

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

მეორე წელიწადი

ზამოდის შაბათობით.

ბ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

	ბაზავნით ტ ფ ილ ი ს ი ს ი	ბაუგზავნელათ:
	ა გარეშე ადგილებში:	მან.
	რთის წლისა — 4 მან.	— 3
	ახევრის წლისა — 3 —	— 2
	ამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

ხ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:

ტ ფ ი ლ ი ს ი ს „ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ი ს კ ა ნ ტ ო რ ა ს ი, მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს დ ა კ ა მ პ. ს ტ ა მ ბ ა ს ი, ხ ა ნ ი ს ქ უ ჩ ა ზ ე დ, თ. ბ ე ბ უ თ ო ვ ი ს ს ა ხ ლ ს ი, პ ო ლ ი ც ი ი ს გ ვ ე რ დ ი თ.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს გ ა რ ე შ ე მ ცხ ო ვ რ ებ თ ა თ ვ ი ს ა დ რ ე ს ი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყ ო ვ ე ლ ი გ ვ ა რ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი ს ა ს ო ფ ლ ო ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ე ბ ი ს ა დ ა ა გ რ ე თ ვ ე გ ლ ე ხ ე ბ ი ს დ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა უ ფ ა ს ო თ, დ ა უ ნ დ ა გ ა მ ო ი გ ზ ა ვ ნ ო ს გ ა ზ ე თ ი ს კ ა ნ ტ ო რ ა ს ი, რ ო მ ე ლ ი ც ი მ ყ ო ფ ე ბ ა ტ ფ ი ლ ი ს ი ს ი, მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს დ ა ქ ა მ პ. ს ტ ა მ ბ ა ს ი.

№ 12. შ ა ბ ა თ ი. II. 28 ი ე ნ ი ს ს 1869 წ.

რა რიგათ სჯობია მუშაობა.—დედა-მიწა.—ბისტერვეგი.—სამეურნეო ცნობები.—საქ�ო ცნობები.—სხვა და სხვა ამბები.—ლექსი.—ბავაჭრო ცნობები.—ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ე ბ ი.

მ ა ლ ე, დ რ ო ი ა ნ ა თ დ ა ა დ ვ ი ლ ა თ მ უ შ ა ო ბ ა.

ეხლა მუშაობის დროა, ბევრგან ქერი მოჭრა და პურ'აცა სჭრიან და კიდეცა ლეწვენ; მასუკან ვენახების მუშაობაა.

ბევრი აკლდება გლეხ კაცსა ჭირნახულში, თუ რომ მუშაობა დროზე არ დაიწყო; აი ეთსვათ პურის მკის დროა, თუ დროზე არ დააშურა მუშაობა, პურს მარცვალი გასცვივა' თავთავი დაიცლება და სულ რომ ცოტა ცოტა მეათედი დააკლდება. მერე კიდევ ვთქვათ ღვინის დაწურვა. ქახეთში იციან—ყურძენი ჯერ კარგათაც არ არის შემოსული, რომ სწურვენ, რადგანაც ეშინიანთ არ დაგვისეტყეოსო, ან არ წახდესო. ამისაგან ღვინო კარგი არა დგება და ესეც გლეხის ზიანია. ქარგი ღვინო რომ დამდგარიყო, მეტს ფასს აიღებდა.

ეს ყველა გლეხმა კაცმა კარგათ იცის და ისიც კარგათ იცის, რომ მინდვრის და ვენახის ჭირნახულს მუშაობა დროზედ და მალე უნდა.

მუშაობის დროს ზაფხულში გლეხი კაცი ცდილობს და სულს ირთმევს მუშაობაში რომ ჩქარა მოვასწრო მომკა, გალეწვა, ყურძნის კრეფა, დაწურვა და ყველა მოვახერხო, რომ ცარიელი არ დავრჩეო. მიდის, ეწვალება, მთელი ოჯახის კაცები ერთათ მუშაობენ, მუშებს იჭერენ, მაგრამ მაინც ხან რა მიზეზი გაჩნდება და ხან რა, მუშაობას უშლის დრომდის და ვერა გაურიგებია რა კაცსა.

რა ქნას და რა მოიგონოს გლეხმა, არის დაღონებული და ვერა მოუხერხებიარა, ვერა მოუგონია ისეთი რამ, რომ ჭირნახული არ დაეკარგოს. ვისაც შეძლება, აქვს, მუშებს ბევრს იჭერს და ამითი შველის თავის თავსა. ვისაც არა აქვს შეძლება რჩება, თავისამარასა და თან და თან უფრო ღარიბდება, მეტადრე თუ ოჯახში ვაჟი კაცი ერთია. რა ღონისძიება უნდა მოახერხონ გლეხებმა რომ მუშაობა მალე, დროით გათავდეს?

უდროოთ ავდარი, სეტყვა და სხვა უბედურება სწორეთ ცეცხლსა გავს. ერთს სახლში, რომ ცეცხლი გაჩნდება მთელ სოფელს შიში აქვს. ცეცხლი ერთი სახლიდგან მეორეს ედება, მეორე სახლიდგან მესამეს და ბევრჯელ ნახევარ სოფელს გადასწვავს ხოლმე. ადიდეც ამიტომ არის რომ ერთ სახლში რომ ცეცხლი ჩნდება, ყველას ეფიქრება თავისი სახლისა და მაშინვე იქით მიდის რომ მიეშველოს და გააქროს ცეცხლი. მთელი სოფელი ასე ამ გვარათ იკრიფება და ყველანი ერთათ აქრობენ, ყველანი ერთათ მუშაობენ. რუსეთში სოფლებში იციან შტრაშს, ჯარიმას გადაახდევინებენ, თუ ვინმე არ მიშველები, ცეცხლის დროსა. დიდით პატარამდინ ფეხზე დგანან.

თუკი ცეცხლზე ასე ერთათ მთელი სოფელი შეიკრიფება, ჭირნახულის მუშაობაში რატო მთელი სოფელი არა მუშაობს. ჭირნახულის გაფუჭებაც ცეცხლი არის. ბლეხი კაცის ღონე მინდორში და ვენახშია, თუ კი რამ წაუხდა ეს ხომ ცეცხლზე უარესია. წლის წლობამდინ რომ მინდორსა და ყანახს არა დააკლდესრა გლეხი კაცი ხომ გამდიდრდება. საკვირველია რომ ამაზე მთელი სოფელი არასა ფიქრობს.

ამისთვის კარგი იქნება რომ მთელმა სოფელმა პირობა შეჰკრას და მუშაობა ერთათ დაიწყოს. აი ვთქვათ ყანაა მოსამკობი; მალე მომკა საჭიროა რომ არ დასეტყეოს, ან თავთავს ხორბალი არ გასცვინდეს; მთელმა სოფლის გლეხობამ ერთათ რომ დაიწყოს მომკა, ხომ ძალიან მალე გათავებენ. მთელს ყანებს რომ მოედებიან მგონია ორ სამ დღეში სულ მოსჭრან. ხომ იცით, მუშაობაში რამდენიც კაცი მეტია, მუშაობა უფრო გულიანათ უფრო ხალისით არის ხოლმე. მარტო ადამიანი უფრო მძინარესაეითა მუშაობს, ბევრნი რომ შეიყრებიან, ერთი ორათ ღონე ემატება კაცსა, ერთმანეთის გამოჯიბრებით.

ამისა გამოთ ერთი ორათ უფრო მალე გათავდებოდა მუშაობა. ახლა კალოს გალეწვა: ამასაც სიჩქარე უნდა რომ წვიმა არ მოესწროს; მთელმა სოფელმა რომ დიდ დიდი კალოები გააკეთოს და ერთათ გალეწოს პური ხომ უფრო მალე გათავდებოდა საქმე.—

ამაზე იქნება თქვან, რომ იქნება ბევრმა

არ ინდომოსო. დაე ვინც არ მოინდომოს, თითონ იმუშაოს მარტო. ვისაც ჭკუაში დაუჯდება ეს ჩვენი სიტყვა, იმათ შეჰკრან პირობა და ერთათ იმუშაონ ერთმანეთში. მერე სხვებიც რომ ნახვენ ისინიც უეჭველად გაუამხანიგდებიან.

აქ ერთი რამ არის სათქმელი. ჭამა, სმა უნდა მუშებსა. რადგანაც ერთმანერთში აქვთ მუშაობა, ყველამ რომ თავისთვის ხორაგი თითონ წაიღოს, ძალიან ძნელი საქმეა. ისიც ძნელია რომ ერთმა კაცმა იმდენი ღვინო და პური დახარჯოს.—მაგრამ ამ პურის ჭამაზედაც რომ პირობა შეჰკრან ადრეე, კარგი იქნება.

ამაზედ იქნება თქვენ რომ ეხლაც ასეა მუშაობაო. არა, ასე არ არის. ჩვენი გლეხები იმსთანა მუშაობაში მაინც მუშას ფულს აძლევენ. ეს დიდი საქმეა და აქ ერთმანერთში პირობა აქვთ რომ უფულოთ ყველამ ერთათ იმუშაოს. ამას გარდა ჩვენ ვამბობთ, რომ მთელმა სოფელმა, მთელი სოფლის გლეხობამ ერთათ იმუშაონ და არა თუ ცალცალკე როგორც ეხლაა. ერთი სიტყვით როგორც ეხლა თითო ყანას ხუთიოდ ან ოციოდ მუშა ადგას, ისე მთელი სოფლის გლეხობა მთელი სოფლის გლეხობის ყანებს დაადგნენ.

აქ კიდევ იქნება ამაზე მოხდეს ლაპარაკი რომ ეს ყანა ჩემიაო, ის იმისიო. ამაზედ ვიტყვი—პურს რომ მომკენ იმ ძნებს იქვე გაუშვებენ თან ხომ არ წაიღებენ. ასე უნდა. ბალეწვის დროსაც კიდევ ძნები დასთვალონ და გალეწის შემდეგ ისევ გაჰყონ.

სწორეთ ამ გვარათაც შეიძლება ყურძნის კრეფა, მინდვრის მოხვნა, დათესა და ერთი სიტყვით ყველა მუშაობა. ამას ეს უნდა დაუმატოთ, რომ ყოველმა გლეხმა იმდენი დღე უნდა იმუშაოს სოფლის გლეხებისთვის, რამდენ დღესაც სოფლის გლეხები იმუშავებენ იმისთვის. აი ვთქვათ; ერთის გლეხის ყანა მომკეს ოცმა კაცმა ერთ დღეში. ამ გლეხს ემართება ოცი კაცისა თითო დღე.

ამაზე რომ გლეხებმა ერთმანერთში მოიალაპარაკონ კარგი იქნება. ამას უნდა ყურადუგდონ სოფლის მამასახლისებმა და მოსამართლეებმა, ეს ძალიან საჭირო საქმეა და დიდი შემწეობა იქნება ღარიბი კაცებისთვის. ამისთანა ერთათ მუშაობა ზოგიერთ ნასწავლ ხალხში არის და დიდი სარგებლობა მოაქვს და ხალხიც კეთდება.

პეტრე შმიკაშვილი.

სამეცნიერო ნაწილი.

დედა-მიწა

როდესაც თქვენ მდგარხართ დიდი მინდვრის შუა და გაგიხედავთ გვერილშემო და მაღლა, მაშინ დედა-მიწა ბრტყელად მოგეჩვენებოდათ; გეგონებოდათ რომ იქ, საცა მიწა თავდება, ზევიდან ცა ერთვის იმას; თქვენი ჰაზრით ცა გარდმოფარებულია მიწაზე ისე როგორ ცეკლესიის გუმბათი.

მართალია, ერთი შეხედულობით დედა-მიწა ბრტყელი ჭგონია კაცს და ცაც გუმბათს მიემგზავსება; უწინდელ დროშიაც ასე ეგონათ და ეხლაც ბევრი გაუნათლებელი ხალხია იმაში დარწმუნებული, რომ დედა-მიწა ბრტყელია, რომ იმას უვლის გვერილშემო დიდი ზღვა და რომ ამ ზღვაში მყოფი გველ-ევშაპის ზურგზედ არის ის გაჩერებული. მაგრამ სწავლულებმა ბევრი ფიქრისა და მეცადინეობის შემდეგ ამოაჩინეს, რომ დედა-მიწა ბტყელი კი არ არის-ვაშლივით მგრგვალია, რომ ის არაფერზე არ არის გაჩერებული და მოძრაობს ქვეყანაში.—აი რა გვარი საბუთები მოჰყავთ სწავლულებს იმის დასამტკიცებლად, რომ დედა-მიწა მგრგვალია და არა ბრტყელი:

დედა-მიწა რომ მართლა ბრტყელი იყოს, მაშინ შეიძლებოდა მიეწია კაცს იმის საზღვრამდი, ესე იგი იქ, საცა დედა-მიწა თავდება და ის დიდი ზღვა იწყება, რომელშიაც მიწა არის გველევშაპის ზურგზე გაჩერებული. მაგრამ, თუმც ურიცხვს მოგზაურებს დაუელია დედა-მიწა, არასოდეს არ უნახავთ ეს ზღვის სამზღვარი. როცა ისინი გამგზავრებულან რომელიმე ადგილიდან და უვლიათ პირ-და-პირ მაშინ, რამდენიმე თვის შემდეგ, დაბრუნებულან ისევ იმ ადგილას, საიდანაც გამოსულან, მაგრამ მეორე მხრით, ასე რომ თუ აღმოსავლეთისაკენ წამგზავრებულან პირველად, დაბრუნებულან დასავლეთიდან.—აიღეთ ვაშლი და რომელიმე ადგილიდან დაიწყეთ სწორეთ ხაზის შემოვლება; უეჭველია, რომ ხაზი იქ გათავდება სიდანაც დაიწყეთ, თუ სწორეთ გაიყანეთ ის; ეს ამტკიცებს იმას, რომ ვაშლი მგრგვალია. დედა-მიწაზე მოგზაურის ერთი ადგილიდან წასვლა და იქვე დაბრუნება ესრეთვე ამტკიცებს მიწის სიმრგვლესა.—

ეხლა ვნახოთ სხვა დამტკიცებაც: როდესაც მოჰდიხართ დიდ მინდორზე და ინახავთ მოშორებით რომელიმე შენობას, მაშინ პირველად შეხედავ ყოველთვის სახურავს, მერე, რო მიუახლოვდებით, შუა სახლის ნაწილსა და კიდევ რო მიუახლოვდებით დაინახავთ მთელს სახლს თავიდან ბოლომდი, უეჭველია ესეც იმას ამშკიცებს, რომ დედა-მიწა მრგვალია; მაგრამ, უფრო ცხადათ რომ გაგაგებინოთ ეს წარმოგიდგენთ მაგალითს: აიღეთ ისევ ვაშლი და ერთს გვერდზე დაასვით ზედ პატარა ჯოხი; ჯერ ჯოხიან ვაშლის გვერდს პირი იქით აქნევინეთ, მერე დაუწყეთ ვაშლს ხელში ნელ-ნელა ტრიალი; თქვენ შენიშნავთ, რომ პირველად ჯოხის თავი გამოჩნდება, მერე შუა ნაწილი და მერე კიდევ რო მოატრიალებთ, გამოჩნდება მთელი ჯოხი თავიდან ძირამდინ; ასეაზემო მოხსენებულ მაგალითშიაც; მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ იქ შენ თითონ მიდიხარ შენობისაკენ, რომელიც გაჩერებულია და აქ კი შენ გაჩერებული ხარ, მაგრამ ვაშლი ტრიალებს და გაჩვენებს ცოტ-ცოტათი ჯოხს. ვაშლი რომ ბრტყელი იყოს, დასობილ ჯოხს ხომ იმწამსვე დაინახავდით თავიდან ბოლომდი; ასეა დედა-მიწის საქმეც: სიმრგვლე უშლის შორიდან მაყურებელს მთელი შენობის დანახვას.—აგრეთვე როდესაც კაცი რომელიმე შენობას, კოშკს, ვსთქვათ, ან ხეს ჰშორდება პირველად ეკარგება მხედველობიდან შენობის საძირკველი, მერე კედლებსაც ვერ დაინახავს და თუ კიდევ მოშორდა სახურავიც აღარ გამოჩნდება.—

დედა-მიწის სიმგრგვლეში ვარწმუნდებით ჩვენ კიდევ მთვარის დაბნელების დროს; მთვარის დაბნელება მოჰხდება მაშინ როცა დედა-მიწა მთვარესა და მზეს შუა დგას, ეფარება მთვარეს და უშლის მზის სინათლეს მთვარის განათლებას; ამ მთვარის დაბნელების დროს დედა-მიწის ჩრდილი გამოიხატება ხოლმე მთვარეზე; ის გარემოება, რომ ეს დედა-მიწის ჩრდილი ყოველთვის მგრგვალია, გვიმტკიცებს ჩვენ, რომ თითონ დედა-მიწაც მგრგვალია. დედა-მიწა, რომ, ვსთქვათ, შაურიანსავით ბრტყელი და მგრგვალი იყოს და არა ვაშლივით, მაშინ რასაკვირველია იმის ჩრდილი ყოველთვის მგრგვალი არ იქნება; ამაში დარწმუნება ძალიან ადვილია: აიღეთ მაგალითად ვაშლი, მოჰკიდეთ ერთ-თითი თავში, მეორე ბოლოში და ისე ატრი

ალეთ მზეში; თქვენ დარწმუნდებით, რომ იმის ჩრდილი ყოველთვის ერთნაირი იქნება—მგრგვალი. ეხლა აიღეთ ბრტყელი და მგრგვალი რამ ნივთი, თუ გინდ კაპეიკიანი, მოჰკიდეთ სადაც გინდათ ხელი და ისე ატრიალეთ მზეში; ყოველ მოტრიალების დროს კაპეიკიანის ჩრდილი სხვა და სხვა სახეს დაიჭერს. ამას გარდა ყველა სხვა პლანეტები ბურთივით მგრგვალებია; მაშ მარტო ჩვენი დედა-მიწა—რად უნდა იყოს ბრტყელი?—

ამ დამტკიცებაებს გარდა სწავლულებს კიდევ ბევრი საფუძვლები აქვთ—დედა-მიწის სიმრგვალეზე; ჩვენ აქ მარტო ესენი მოვიყვანეთ იმიტომ, რომ უფრო ადვილი გასაგებნი და ცხადნი არიან.—

ეხლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა იმაზე—თუ რანაირად მოძრაობს დედა-მიწა და რა გავლენა აქვს იმ მოძრაობას ბუნებაზე.—

სწავლულებმა გამოიკვლიეს, რომ ჩვენი დედა-მიწა ორნაირად მოძრაობს: პირველად, ის მუდამ ტრიალობს, როგორც ბზრიალა, რგორც, მაგალითად, კაკალი რო დაგიტრიალებიათ ხელით და მეორედ, ის უვლის მზეს გვრილ შემო სხვა პლანეტებსავით.

როცა ჩქარა მიმავალ ნავში ან ტივზე მჯდარხართ, თუ დააჩერდით წყლის ნაპირებს, თქვენ გეგონებოდათ, რომ ნაპირი მირბის უკან, ნავი კი ერთ ადგილას არის გაჩერებული; რაც უფრო ჩქარა მიდის ნავი, ისე უფრო გატყუილებენ თქვენ თვალები; თქვენ რასაკვირველია იცით, რომ ამ დროს წყლის ნაპირები ფეხს არ იცვლიან, მარტო ნავი მიდის გაქანებული. აი ამ ნაირად გვატყუილებენ ჩვენ თვალები, როცა ვხედავთ, რომ დილით მზე ამოდის, გარდაიარს ცას და მერე დასავლეთისკენ ჩავა; როგორც ზევით მოხსენებულ მაგალითში წყლის ნაპირები კი არ მირბიან უკან, ნავი მიდის წინ, ისე აქაც, როცა ჩვენ ვამბობთ „მზე ამოვიდაო“, მაშინ უტრიალებს მიწა მზე და არა მზე-მიწას.—ჩვენ ვერ შევნიშნავთ დედა—მიწის ტრიალს, იმიტომ რომ იმის ტრიალის დროს, ტრიალობს აგრეთვე ჰაერი, რომელიც გარს ახვევია იმას და ყველაფერი რაც კი არის იმაზე.

რომელი გვერდითაც მიბრუნდება მიწა მზისაკენ, თავის ტრიალის დროს, იმ გვერდს გაანათლებს მზე და იქ დ ღ ე იქნება; მეორე გვერდზე, რომელსაც არ ანათებს იმდროს მზე, ღ ა მ ე ა.—

მაშ დ ღ ე და ღ ა მ ე იქიდგან წარმოსდგება, რომ მიწა თავის ტრიალის დროს ხან ერთ გვერდს უჩვენებს მზესა და ხან მეორესა. ოც და ოთხის საათის განმავლობაში მიწა ერთხელ ‘ბემოტრიალდება ხოლმე, ამიტომაც ოცდა ოთხს საათში დღეც არის და ღამეცა.

დედა-მიწა დატრიალობს დასავლეთით აღმოსავლეთისაკენ, ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდის და დასავლეთისაკენ ჩადის.

თუმც დედა—მიწა ძალიან ჩქარა დატრიალობს, (წამში ოცდა ათ ვერსამდი გადის), მაგრამ ერთი დღე და ღამე უნდება მაინც ერთხელ ‘ბემოტრიალებას; ეს ამიტომაა რომ ის დიდია და რაც უფრო დიდია რომელიმე ნივთი, ისე უფრო დიდს ხანსაც უნდება თითო შემოტრიალებას. სწავლულების გამოანგარიშებით დედა—მიწას რო სარტყელი შემოწვთეს გვრილ შემო, ამ სარტყელს უნდა ჰქონდეს სიგრძე ოცდა შვიდმეტი (37) ათასი ვერსი.

ეხლა მოვიყვანოთ ორიოდ იმის დამტკიცება, რომ დედა—მიწა ტრიალებს. სწავლულებს შეუნიშნათ რომ, როცა რომელიმე მაღალი შენობიდან, ან ხიდან ჩამოუგდიათ ქვა, ტყვია ან სხვა რამ მძიმე ნივთი, ის არას ოდეს არ დავარდნილა პირდაპირ, სწორეთ ძირს; ზევიდან ჩამოვარდნილი ნივთი ყოველთვის აღმოსავლეთისაკენ გაწეულა; აქედან სჩანს, რომ ის წერტილი, რომელზედაც უნდა დაცემულიყო ნივთი, უკან რჩება და ნივთი უფრო წინ ვარდება. ეს მაგალითი გვიმტკიცებს, რომ მიწა გვრილშემო ტრიალებს, ნივთი რო პირდაპირ არ დაეცა, ეს იმიტომ მოჰხდა, რომ მაღლა უფრო ჩქარია მოძრაობა, ვიდრე ძირს; ასე რომ იმ წერტილმა, სიდანაც ჩამოაგდეს ქვა გაასწრო ქვედა იმის პირდა პირ წერტილსა.—ნივთი აღმოსავლეთისაკენ ვარდება, იმიტომ რომ დედა-მიწა დასავლეთით აღმოსავლეთისაკენ ტრიალებს.

ს. მ.

დისტერვეგი, მისი ცხოვრება და აზრები უმაწვილის აღზრდაზე.—

(Дѣтскій садъ, 1869 г. мартъ и апрѣль)

1866 წ. გარდაიცვალა განთქმული ბერმანიის პედაგოგი *)—ადოლფი დისტერვეგი; იმან ამოაჩინა პედაგოგიაში ისეთი ‘ბერმარტყ—ბაები, რომ იმის სახელი სამუდამოდ ‘ბერ—წყარი იქმნება კაცობრიობისთვის. დისტერვეგის თხზულებაებს ხალხის განათლებაზე და ყმაწვილის აღზრდაზე ჰქონდა და ეხლაც აქვს დიდი გავლენა თითქმის მთელ ევროპაში. უეჭველია, რომ ჩვენი დედ-მამებისათვისაც სასარგებლო იქნება—ვაცნობოთ იმის აზრები ყმაწვილის აღზრდაზე, რადგან ისინი ძალიან, დაუდეგენელად შეჰყურებენ ამ საქმეს. ჩვენ მშობლებს ჰგონიათ, რომ, თუ შვილი მისცეს რომელიმე სასწავლებელში, იმათ აასრულეს თავის ვალდებულობა; იმას კი არ ჰფიქრობენ—თუ რა გავლენა აქვს ყმაწვილზე თვით ოჯახს, ესე იგი იმ პირებს, რომლებიც იმას გარს ახვევიან.—

ჩვენ აქ მოკლეთ ავსწერთ ჯერ დისტერვეგის ცხოვრებას და შემდეგ ვაცნობებთ მკითხველებს იმის აზრებს ყმაწვილების აღზრდაზე.

ადოლფი დისტერვეგი დაიბადა 1790 წ.; მაშასადამე ის 76 წლისა მომკვდარა. მამა მისი იყო კარგა შეძლებული კაცი; იმას უყვარდა განათლება და იმიტომაც ეწეოდა ყველას, ვისაც კი უნდოდა განათლების მიღება და შეძლება არ ჰქონდა; ამბობენ, რომ ერთხელ მივიდა თურმე ადოლფი მამასთან და უთხრა, რომ ერთს იმის ამხანაგს—თერძისშვილს სურს განაგრძოს სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ შეძლება არა აქვსო. დისტერვეგის მამამ მოიხმო თურმე ის ყმაწვილი, ეგზამენი უყო და რო დარწმუნდა იმის ნიჭში, მოუყარა ფულებს თავი და იმდღესვე მისცა ყმაწვილს უნივერსიტეტში წასასვლელად.—

დედა მოუკვდა დისტერვეგს, როდესაც უკანასკნელი იყო რვა წლისა, ასე რომ იმას არ ღირსებია დედის მოფერება და სიყვარული; მის მაგივრად მამას უყვარდა ის ძალიან; თითქმის არასოდეს არ იშორებდა იმას: გარეთ და შინ—სტუმრებთანაც ადოლფი მამას არ შორდებოდა.

თავიდანვე ის იყო ცოცხალი და ცოდნის მოყვარე ყმაწვილი. ლათინურ შკოლაში სწავლა პატარა ადოლფს ვერაფრად მოსწონდა; იმას უფრო მიიზიდავდენ ტყეები, მინდვრები

*) პ ე დ ა გ ო გ ი ა არის სწავლა ყმაწვილების აღზრდაზე; პედაგოგი—კაცი, რომელიც ზრდის ყმაწვილებსა—როგორც ზნეობით, ისე გონებითაც.—

და სახელოსნო სახლები. აა რას ამბობს ის თავის თავზე:

„ჩვენ ბავშები, უფრო მთებზე და ტყეებში ვატარებდით დროს, ვიდრე შკოლაში. ჩვენ ვეძებდით ბუდეებს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ დაგვექცია ისინი, ან კვერცხები ამოგვეკრიფნა; არა, ჩვენ მარტო ვაკვირდებოდით და ვათვალიერებდით იმათ“.

„ამას გარდა, ამბობს Дისტერვეგი, მე ბევრი დრო გამიტარებია მჭედლებთან, ხარატებთან და სხვა ხელოსნებთან; დიდის სიამოვნებით ვეხმარებოდი იმათ მუშაობაში. მუშაობის დროს ისინი მომიყვებოდნენ ხოლმე თავის ცხოვრების ამბავს. ბედნიერად მიმაჩნდა ჩემი თავი, როცა მჭედელი საბერველის ბერვის, ან ცეცხლის გაჩაღების ნებას მომცემდა.—Uმაწვილებს ავნებს ხოლმე მუშებთან ყოფნა, რადგან ხშირად ისინი გალობენ იმისთანა სიმღერეებს და ხანდისხან იმისთანა ამბავებს მოჰყვებიან, რომლებიც ყმაწყილმა არ უნდა გაიგონოს; მაგრამ ის მჭედელი, რომელთანაც მე დავდიოდი ხოლმე, ძალიან კეთილშობილი კაცი იყო. Uმის სიკვდილი რო შევიტყე, ძალიან მეწყინა.“—

1808 წ. Дისტერვეგი შევიდა უნივერსიტეტში მათემატიკის, ისტორიისა და ფილოსოფიის სასწავლებლად.

Uნივერსიტეტში სწავლის გათავების შემდეგ Дისტერვეგს უნდოდა ინჟენერობა, მაგრამ სხვა და სვხა გარემოებებისა გამო ის იძულებული იყო თავისუნებლიედ გამხდარიყო ერთ კერძო სახლში მასწავლებლად. შემდეგ მიიწვიეს ის მასწავლებლობის ადგილზე ერთ სახალხო შკოლაში, სადაც ახალი მეთოდით ასწავლიდნენ ყმაწვილებს. Aქ ის გაეცნო ზოგიერთ მასწავლებლებს, რომლებთაც ჰქონდათ იმაზე დიდი გავლენა.—

Tუმც იმდროს Дისტერვეგს რაცხდენ იქ კარგ და მცოდნე მასწავლებლად, მაგრამ ის ხშირად წითლდებოდა, ხოლმე, როცა საზოგადოებაში სადმე შეხვდებოდა ყოფნა; ამიტომ რომ იმდროს საზოგადოთ ნემცები და განსაკუთრებით სამღვდელოება, არა სცემდენ მაგდენ პატივს სახალხო შკოლების მასწავლებლებს.—

Tავის თავი იმან შესწირა ხალხის განათლებისათვის; როცა იმას შეაძლიეს კარგი ჯამაგირიანი ალაგი ერთ გიმნაზიაში, იმან უარი თქვა და დარჩა ისევ მასწავლებლად სახალხო შკოლაში. Uმან კარგათ გაიცნო ხალხის მდგომარეობა, იმის ჭკუის გახსნისა და მატერიალურად გაუმჯობესობისა საჭიროება და შესწირა თავის თავი ხალხის განათლების საქმესა.—

Iმდროს რეინზე (მერსში) გახსნეს სახალხო მასწავლებლების მოსამზადებელი სემინარია და Дისტერვეგი დანიშნეს იქ დირექტორად. Tავის თანამდებობაში შესვლის დროს Дისტერვეგმა თქვა სიტყვა, რომლისაგან ჩვენ ამოვწერთ რამდენსამე აზრს:

„Kარგი შკოლები ყველაზე უფრო საჭიროა ყოველი სახელმწიფოსათვის. Uმათი შემწეობით უკეთესდება ყოველი ერი.

„მასწავლებელს შკოლისთვის ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც მზეს მიწისთვის.—Tუ მასწავლებელი თავის სულს არ ჩაუდგამს ყმაწვილებს, შკოლა თავის დღეში ვერ იხეირებს.—

„სასურველია, რომ ამ ქალაქის მმართებლობამ და მოქალაქეებმა შეეწიონ ჩვენ სემინარიას მატერიალურად და ზნეობითაც.—“

პირველს სამ წელიწადს აქ ძალიან გაუჭირდა Дისტერვეგსა, რადგან ცოტა თანამშრომლები ჰყავდა; ამას გარდა იმაზე გაავდეს ცუდი ხმები და ბევრ ჭორებს ლაპარაკობდენ საზოგადოებაში. მაგრამ თვით საქმემ—ყმაწვილების სწავლაში წარმატებამ—დამტკიცა ყველას,რომ ის ხმები უსაფუძვლონი იყვნენ.—Дისტერვეგი ასწავლიდა წიგნით, სანამ ბრულის სემინარიის ინსპექტორს—Вაგნერს არ გაეცნო; იმან უჩვენა Дისტერვეგს—თუ როგორ უნდა გარდასცეს მასწავლებელმა ყმაწვილს საგნები უწიგნოთ და რა სარგებლობაა აქედგან.

„მას აქეთ, ამბობს Дისტერვეგი, საგნების გარდაცემის დროს შკოლაში მე ჩემ დღეში არ მიხმარია წიგნი.“—Дისტერვეგი მარტო ყმაწვილების სწავლაში არ იყო გართული; იმას იზიდავდა აგრეთვე საზოგადოება და იმის ცხოვრება; ხშირად ეუბნებოდა ხოლმე თავის მეგობარს Зოფმეისტერს (იქაური ლათინური შკოლის ზედამხედველს), რომ ჩვენ ქალაქში საზოგადო ცხოვრება, ერთობა არა გვაქვსო.—Дისტერვეგმა შეადგინა პლანი—თუ როგორ უნდა გარდაკეთდეს საზოგადოების ცხოვრება, როგორი უნდა იყვნენ საზოგადოთ შკოლები და სხვა სასწავლებლები და რა კავშირი უნდა ჰქონდესთ იმათ სარწმუნოებასთან და სახელმწიფოსთან.—მაგრამ ეს პლანები არ ასრულდნენ, რადგან საზოგადოებაში საშიშო აზრების კაცად მიაჩნდათ ის და ბევრს არ უჯერებდნენ.—შემდეგ Дისტერვეგმა და Зოფმეისტერმა გააწყვეს საერთო ოჯახობა, იმისთვის რომ გაუადვილდეს იმათ ცოლებს ოჯახის მოვლა და დარჩეს თავისუფალი დრო ჭკუის გახსნისათვის, რათა იმათაც შესძლონ კაცების ლაპარაკში მონაწილეობის მიღება და აზროვანი ლაპარაკის გამართვა.—

Дისტერვეგმა დაიარა თითქმის მთელი Гერმანიის სამასწავლებლო სემინარიები; მოგზაურობის დროს ის თითონაც სწავლობდა და სხვებსაც უსწორებდა, თუ რამ ნაკლულევანებას ნახავდა რომელსამე სემინარიაში. Уველაფერს რასაც კი შენიშნავდა ყურადღების ღირსს თავის მოგზაურობის დროს, ის ბეჭდავდა გაზეთში Rheinische Blätter („რეინის ფურცელი“), რომელსაც ის სცემდა 1827 წლიდგან და რომელიც დღემდი გამოდის.—

მოგვყავს აქ რამდენიმე Дისტერვეგის აზრები, რომელთაც ის უქადაგებდა თავის „რეინის ფურცელში“.

„Kაცი უნდა დაფასდეს მარტო იმ ღირსებებით, რომელნიც იმას თვითონვე შეუძენია; შთამომავლობა არც აამაღლებს და არც დაამდაბლებს კაცს. Kეთილშობილური აზრებით და წადილებით უნდა დაფასდეს კაცი; ამ თვისებების მიღება მემკვიდრეობით არ შეიძლება.—

„Tუ მოწაფეებს არ შეუძლიათ კარგათ, ცხადათ გამოთქმა თავის აზრისა და ურევენ ერთმანეთში სხვა და სხვა სიტყვების და აზრების მნიშვნელობას—ეს იმის ნიშანია, რომ იმ შკოლას, სადაც ის მოწაფეები სწავლობენ, თავის დანიშნულება არ ესმის.—

„Uნდა გახსოვდეთ, რომ წიგნის კითხვა არ არის მიზანი, არამედ მარტო სახსარი, რომლის შემწეობით ჩვენ უნდა გავიგოთ რაც წიგნში სწერია.—

„Kაცი ბავშობიდან უნდა იყოს მიჩვეული გაგონებას; თუ ბავში დედ-მამის გაგონებას არ არის შეჩვეული მაშინ ის, რო გაიზრდება, ვერ დაემორჩილება თავის სამშობლოს გონივრულს კანონებსა.—

„ნეტავი Дემოსფენივით მჭევრმეტყველი ვიყო, რომ დავარწმუნო ყოველი პედაგოგი მასში, რომ რიგიანობა და დაწყობილობა შკოლაში პირველი საქმეა.—

„

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროცა, მაგრამ უძიძოთ ერთს თავის შვილსაც არ ზრდიან ხოლმე.—მხლანდელ დროში ჩვენ ქალებს მარტო ორი საქმის გაკეთება შეუძლიათ: შვილების გაზდა და ცოტაც ოჯახის მოვლა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ზოგიერთს ჩვენ აზნაურისა და თავადის ცოლებს ჭორები და უსაქმოთ დროს გატარება ურჩევნიათ ოჯახისა და შვილების მოვლას.

წარჩინებული ექიმები და სწავლულები ამბობენ, რომ თუ დედას ჰსურს უყვარდეს შვილს და იმის ხასიათი გამოჰყვეს, თითონ უნდა გამოზარდოს ის, თუ ავათმყოფი სხეულისა არ არის.—

რასაკვირველია, თუ დედა, რომელიმე ზემოხსენებული მიზეზებისა გამო, თითონ ვერ გაზრდის თავის შვილს, მაშინ უნდა იშოვოს რიგიანი ძიძა.—

ძიძის ამორჩევაში ყველაზედ წინ უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას—ჯანმთელია ის, თუ არა; ძალიან კარგი იქნება, თუ შესაძლებელია, რომ ჯერ ექიმმა ნახოს ძიძა და გაუშინჯოს ძუძუები და რძე; აგრეთვე ძიძის ბავშიც უნდა გაშინჯოს-ჯანმთელია, თუ არა.—ძიძის სისუქნეს და შეხედულობას არ უნდა მიაქციოთ მაგდენი ყურადღება; ხშირად მოხდება, რომ ქალი ჯანმთელიც და სუქანიც არის, მაგრამ რძე კი არ უვარგა.

ახალ დაბადებული ბავშისათვის არასოდეს არ უნდა აიყვანოთ ისეთი ქალი ძიძათ, რომელსაც დიდიხანი (მაგ. ერთი წელიწადი) უწოვებია თავის შვილისათვის; აგრეთვე იმას არ უნდა უყურებდეთ დიდი ძუძუები აქვს ქალს თუ არა; „მე ხშირად მინახავს იმისთანა ძიძებიო, ამბობს დოქტორი შტერნი, რომელთაც ძალიან დიდი, გატენილი ძუძუები ჰქონიათ, მაგრამ რძე ხან ცოტა ყოფილა შიგ, ხან ბევრი, მაგრამ უვარგისი,,—

ერთი უბრალო საშუალებაა იმის შესატყობლად—უვარგა ქალს რძე, თუ არა. აფთიექში ჰყიდიან ერთ გრძელ და ვიწრო შუშას, რომელიც ხაზებით ას ნაწილად არის დაყოფილი; სახელი ამ შუშისა გალაქტომეტრი—რძის საზომავი. ამ შუშაში უნდა ჩაასხათ ის რძე, რომლის ღირსებაც გინდათ შეიტყოთ და მეორე დღემდის ისე დასტოვოთ; რძეს მოადგება თავზე ნაღები; თუ ბევრია ნაღები, ეს იმის ნიშანია, რომ მარგებელი რძე ყოფილა; ნაღებმა სამი ამ შუშის ხაზი მაინც უნდა დაიკავოს.

ოც წელიწადზე უცროსი და ოცდა თხუთმეტზე უფროსი ძიძა არ ვარგა.—

ყოველმა დედამ უნდა უგდოს ყურადღება ძიძის საჭმელ-სასმელს და დროს გატარებას; ძიძა ხშირად უნდა დადიოდეს წმინდა ჰაერში გარეთ; ძნელი სამუშაკო არაფერი არ უნდა მისცეთ; რეცხვა, კერვა, ქსოვა, ესენი ყველაფერი არაფერს არ ავნებს; აგრეთვე უნდა სცდილობდეთ, რომ ძიძას არაფერი ჯავრი ჰქონდეს გულში ჩავარდნილი, თორემ ჯავრისა და შიშის გამო, ყველამ იცის, ადვილად ეკარგება ქალს რძე, ანუ, როგორც ამბობენ, უშრება. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ძიძას სუყველაფერი საჭმელი არ ეჭმება; ბავშს სწყენს: შაშხეულობა, ნამეტნავათ დამარილებული ხორცი, სუქანი თევზი, მცხარე წვანილები, მაგალითად ხახვი, პრასი, ბოლოკი და სხვა; რაც ბავშს სწყენს, ის რასაკვირველია არც ძიძამ უნდა სჭამოს.—

სასმელებში ღვინო შეუძლია სვას, მაგრამ ცოტა. საზოგადოთ ძიძამ თითქმის ისე უნდა იცხოვროს, ისე უნდა სვას და სჭამოს, როგორც ძიძობამდი ცხოვრობდა; თორემ უეცრად ცხოვრების გამოცვლა ყოველთვის აწყენს და აქედან ბავშიც ავათ შეიქმნება.—

რაც უნდა კარგი ძიძა ჰყავდეს დედას, იმას მაინც მუდამ ზედმხედველობა უნდა ჰქონდეს, თუ სურს რომ კარგი შვილი გაეზარდოს.—ძიძას ხშირად ისე არ უყვარს ბავში, როგორც დედ.ს და ამიტომ არ უგდებს მაგდენ ყურადღებას. მეგრელია, იშვიათი მაგალითია: იქ შვილზე უმეტესად თავის გაზრდილი სხვის შვილი უყვართ. ქიდევაც რომ უყვარდეს და კარგათ მოვლაც ჰსურდეს, რაც არ ესმის რას იზამს; უბრალო, სოფლელმა დედაკაცმა არ იცის ხანდისხან რა აწყენს, ან რა მოუხდება ბავშს; ამიტომ, როცა ბავში იტირებს, ის მისცემს ისეთს რასმე ხელში, რომელიც აწყენს ბავშს, თუ პირში ჩაიდვა.—

დედას უნდა ჰქონდეს ყურადღება მიქცეული, რომ ბავშს ყოველთვის დანიშნულს დროზე მოაწოვინოს ძიძამ ძუძუ; თავის დროზე უჭმელობის გამო ბავში ხშირად სტირის და ხანდისხან ავათაც ჰხდება, კუჭი ეშლება. ამიტომ ძიძას უნდა ჰქონდეს დანიშნული დრო-როცა უნდა აჭამოს ბავშს, აგრეთვე თავის დროზე უნდა დააძინოს და თავის დროზე უნდა გამოაღვიძოს; მაშინ, დარწმუნებული იყავით, რომ კარგი ხასიათის შვილი გეყოლებათ და ისე აღარ გაგაწვალებს.—

კავშირი კბილებისა და თვალების ტკივილს შუა.

ერთი ექიმი სახელად დელესტრი ამბობს, რომ კბილების ტკივილს დიდი გავლენა აქვს თვალებზედაო. ხშირად მომხდარა, დელესტრის სიტყვით, რომ იმ კაცს, რომელსაც კბილების ტკივილი ჰქონია, თვალებში სინათლე მოჰკლებია და ხანდის ხან კიდევაც დაბრმავებულა.

თვალებზედ აქვთ მოქმედება უფრო იმ ორ ეშვებს, რომლებიც ზედა ყბაში არიან ჩამჯდარნი წინა ოთხი კბილების მარჯვნითა და მარცხნით; აგრეთვე სხვა ზედა კბილებსაც.

როგორ შეიტყობა გადამტვრეული ხელისა ან ფეხის ძვალი რჩება, თუ არა,

ექიმი დუპლეი სწერს, რომ იმფეხის ან ხელის თითებზე, რომლის ძვალიც გადამტვრეულია, ფრჩხილები აღარ ამოდიან, სანამ ძვლები არ დაიწყებენ ერთმანეთის შეზრდასაო. ამის დასამტკიცებლად სხვათა შორის, ამ ექიმს მოჰყავს ეს შემთხვევა: „შარშანწინ შვიდ ოქტომბერს ერთს კაცს გადასტეხოდა მკლავის ძვალი; ცხრამეტს ნოემბერს მე შეუხვიე ნატკენი ხელი. ავათ მყოფმა მაშინე მითხრა, რომ იმ ხელის თითებზედ, რომელიც მოტეხილი მაქვს, ფრჩხილები აღარ იზრდებაო. რამდენიმე დღის შემდეგ ფრჩხილებმა ისევ დაიწყეს ზრდა ძირიდგან. შეხვეული ხელი რომ გაუხსენი, ენახე რომ ურჩება.

„ათს იანვრამდი როგორც მკლავი ურჩებოდა, ისე ფრჩხილებიც ეზრდებოდა; მაგრამ ათი იანვრიდან ორი კვირის განმავლობაში მკლავი რა მდგომარეობაშიც იყო ისე დარჩა, აღარ რჩებოდა; გასაკვირველია, რომ ამდროს ფრჩხილების ზრდაც შეჩერდა; ათი იანვრიდან ორ კვირაში სულ არ გაზდილა იმ ხელზე არც ერთს თითზე ფრჩხილი.—ორი კვირის შემდეგ მკლავის ძვალმა ისევ დაიწყო მორჩენა და გარდამტვრეული ძვლები ერთმანეთს შეეზარდენ; ამ დროს ფრჩხილებმაც დაიწყეს ჩვეულებრივად ზრდა“.—

ეს შენიშვნა იმიტომ არის სასარგებლო, რომ შემდეგში ექიმებს შეუძლიათ შეტყობა-

ჩება ძვალ—გარდატეხილი ხელი, ან ფეხი, ეუ არა.—

...სოს ამწყობლების თვალების მდგომარეობა.

ერთმა ქ. ბრესლაველის ექიმმა გაუშინჯა ...ვალები ას ოცდა თორმეტს სტამბაში მყო...ს ასოს ამწყობს (наборщикъ); ამოჩნდა, ...რომ ნახევარი იმათგანი ბრუციანები არიან; ...მ ასოცდა თორმეტს კაცში სამოც და რვა ...ორს ვერ იყურება. სამოცდა რვა ბრუციანების რიცხვში ორმოც და თორმეტს, სანამ ...ტამბებში მუშაობას დაიწყებდენ, ჰქონდათ ...არგი თვალები და კარგათაც იყურებოდნენ; ...აში სადამე ისინი დაბრუციანებულან ასოს ...წყობისაგან; ვინც უფრო დიდი ხანი მუშაობდა, ის მომეტებული ბრუციანიც გამოვიდა.

ხშირად არიან აგრეთვე ბრუციანები მოწა...ვეებთ, სტუდენტებთ და სწავლულებთ შორის, ესე იგი, იმათში, ვინც ბევრს ჰკითხულობს. ასს ამათგანში, საშუალ რიცხვით, ...ამოცი ბრუციანია.—

ამნაირათ გახშირებული ბრუციანობის მოსასპობელად ექიმი კონი ურჩევს სტამბაში ...მისთანა სანთლების ხმარებას, რომლის სინათლე დღის სინათლეს ედრებოდეს; სანთელი ...პირ-და-პირ კასსას *) უნდა ანათებდეს და არა ...სოს ამწყობის სახეს; პეტიტი (პატარა ასოები) ...რ უნდა იხმარონ ბეჭდვაში, რადგან იმათი ...რაცქერება ძალიან აფუჭებს თვალებს; დღეში ...დიდხანს მუშაობა, განსაკუთრებით სამთელთან და შეუსვენებლობა აგრეთვე ძალიან ...სწყენს თვალებს.—

*) პატარ-პატარა უჯრები, სადაც ასოები აწყვია. თითო უჯრაში მარტო ერთნაირი ასოები აწყვია, მა...გალითად ერთ უჯრაში ა, მეორეში ბ, და სხვა. როცა რომელიმე სიტყვის აწყობას დაიწყებს ასოს ამწყობი, ამ უჯრებიდან ამოიღებს ხოლმე თითო-თითო ასოებს და ისე შეადგენს მთელ სიტყვას.—

სხვა და სხვა ამბავი.

ადამიანის წონა.

ახლად დაბადებული ვაჟი აიწონის საშუალო რიცხვით (ესე იგი ზოგი ცოტა მეტსა და ზოგი ნაკლებს) შვიდ გირვანქას და სამოცდა თვრამეტს მისხალს; ახალ დაბადებული ქალი ცოტა ნაკლებს—შვიდ გირვ. და ათ მისხ.— მეცხრე დღემდი, როგორც ამბობენ, ბავში ჰკლებულობს წონას; მეცხრე დღიდგან კი იწყებს ზრდას და ამასთან წონა ემატება. ერთი ხნის ქალსა და ვაჟსა ერთი წონა არა აქვთ: თორმეტ წლამდი ვაჟი თითქმის სამი გირვანქით უფრო მძიმეა ქალზე; თორმეტი წლისა რომ შეიქნებიან, მაშინ ორივეს ერთი და იგივე წონა აქვთ. თორმეტი წლიდან კაცის წონა ისევ გადაემეტება ქალისას, ასე რომ ცხრამეტი წლის ვაჟი საშუალ რიცხვით ოცი გირვანქით უმძიმესია თავის ხნის ქალზე. სისრულეში მოსრულნი ქალი და კაცი ოცჯერ უმეტესს იწონიან, ვიდრე ახალი დაბადებულები დასამ ნახევარჯერ უმაღლესნი არიან.— მოხუცებულობაში კაცსაც და ქალსაც თითქმის თხუთმეტი გირვანქა, ხან მეტი, სიმძიმე აკლდებათ; სიმაღლეც ორ გოჯამდინ აკლდებათ.—სისრულეში მოსრული კაცის წონა საშუალი რიცხვით არის ორი ფუთი და ოცდა თხუთმეტი გირვანქა; ქალისა—ორი ფუთი და ოც და სამი გივანქა.

ადამიანის ტვინის წონა.

სწავლულები ამბობენ, რომ რაც კაცს მეტი ტვინი აქვს, ის მომეტებული ჭკუის პატრონიც არისო. რასაკვირველია კაცი ყველაფერ ცხოველზე უფრო ჭკუიანია; იმას ტვინიც უფრო მეტი აქვს, სხეულის შედარებით, ვიდრე სხვა ცხოველებს. ვირის თავს რო ხედავთ - ერთი ფუთი ტვინი მაინც გეგონებათ შიგ, მაგრამ რო ნახოთ ძალიან ცოტა გამოვა იმის ტანის შედარებით. სპილოს, რასაკვირველია, კაცზე მომეტებული ტვინი აქვს, მაგრამ მისს მაგიერად ის ათი კაცის სიმძიმე მაინც გამოვა და ტვინი კი ორი კაცის ოდენა თუ აქვს ისიც კარგია.

საშუალ რიცხვით ოცდა ათის წლის კაცის ტვინი აიწონის სამს გირვანქას და ორმოც და ექვსს მისხალს, ამავე ხნის ქალის ტვინი აიწონის ნაკლებს—სამს გირვ. და ათ მისხალს; ეს საშუალი რიცხვებია; რასაკვირველია, ზოგს კაცს უფრო მეტი ტვინი ექნება, ზოგს კი ნაკლები.—რამდენიმე ჭკუიანი და სწავლული კაცების ტვინი ასწონეს სიკვდილის შემდეგ და ამოჩნდა, რომ ზოგიერთი ამათგანის ტვინი თითქმის ოთხ გირვანქაზე მომეტებულს იწონიდა.

ოცდა ათ წლამდე კაცს ემატება ტვინი; ოცდა ათი წლის კაცის ტვინი, როგორც ზევით ვსთქვით აიწონის სამს გირვ. და ორმოცდა ექვს მისხალს; შემდეგ ოცდა ათის წლისა ღრმა მოხუცებულობამდი კაცს მუდამ უმცირდება ტვინის წონა. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში „კაცი რო დაბერდება, თავში ტვინი გამოელევაო". გასაკვირველია, რომ ღრმა მოხუცებულებაში კაცის ტვინის წონა ისევ მატულობს.

„პეტერბურღის უწყებებში" სწერენ, რომ შამილი ქ. კალუღიდგან გამგზავრებულა სალოცავად ქაბასაკენ; მაისის 17 გასულა ოდესსიდან სტამბოლს; აქედან წავა ქაბას და როგორც ამბობენ იქ აპირებს დარჩენასაო.—

ბარონ ჟერარ—დე—სუკანტონის შვილებმა და შვილი შვილებმა შესწირეს ქ. რეველს 6,000 მან. თავის მამისა და პაპის სამახსოვროდ; შემწირველების სურვილი ის არის, რომ ამ ფულებით გააკეთონ რეველში ქალების სამუშაო სახლი.—

„Голосъ"-ში სწერენ, გომელის უეზდში ერთი ვიღაც გამოჩენილა, დაუვლია სოფლები და დაუყრია ხმა რომ, ვითომ ის არის ქვეყნის მხსნელი, იესო ქრისტე!.—იმას თან ჰყოლია თორმეტი მოწაფე; ის გამოჰსჩენია ამაო მორწმუნე ბელორუსის გლეხებს. პირველათ გლეხებისათვის რამდენიმე სასწაულები ეჩვენებინა: ხის ქვეშ მალამდა თურმე პურს და ღორს და, როცა მშიერს ვისმე გლეხს შეხვდებოდა, ეტყოდა: „შენ, შვილო ჩემო, მშიერი ხარ, მე კარგათ ვიცი, რადგანაც მსანლი ვარ; წადი სწორეთ და სადაც დაინახო მარტოთ მდგარი მუხა, მიდი იქ და ფოთლებში იპოვი საჭმელს." გლეხი მიდიოდა, პოულობდა მართლა და მერე მთელს სოფელს ეუბნებოდა. მერე, როცა ხალხმა დაუჯერა იმას სასწაულთ მოქმედება, მაშინ დაიწყო თავისი სწავლის გავრცელება; სწავლა იმისი უფრო იმაში შესდგებოდა, რომ გლეხებმა დიდი მომაკვდავი ცოდვით შესცოდეს უფალს ღმერთსაო 1863- ში, როდესაც ისინი პანებს (პოლშური მეგატონები) იჭერდნენ ტყეებში და მერე მაგილიოვში მიჰყვანდათო. „მაგრამ, ამბობდა ის, მამა ჩემმა იმისთვის გამომგზავნა, რომ თქვენ გამოგიცხადოთ პატიება იმ პირობით, რომ თქვენ დაივიწყოთ იმათი ჯავრი და მტერობა შემდეგისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც იცოდეთ, რომ იმათი (პანებისა) დროც მალე მოვა“.—

საპატიო მოქალაქის ცოლმა—სჩეგოლევამ შესწირა ქ-ს კრასნოიარსკს 80,000 მანეთის სახელმწიფო ბანკის ბილეთები, იმისთვის რომ გააკეთონ იქ ღარიბების შვილებისათვის სახელოსნო სასწავლებელი; ამას გარდა სასწავლებელის აშენებისათვის დაჰპირდა ის ქალაქს 20,000 მან.—

* * *

(უძღვნი N-ს)

არ მიყვარხარ, დამეხსენ,
ძალით ვერ შეგიყვარებ.
ხარ სხივებთ მზეებრ მფენი,
მაგრამ შავს ნისლს გადარებ.

—

მართალია ღირსი ხარ
სრულისა სიყვარულის,
მაგრამ მისგან—ვისდამი
ხსნა გიძს გულის ჩაგრულის.

—

ამის გამო, ლამაზო,
მითხარ, რათ შემიყვარებ,
მაშინ ოდეს შენსა სხივს
შავსა ნისლსა ვადარებ.

—

მიკვირს, ჩემზედ რად ჰფიქრობ,
ანუ ვით გაგონდები;
რადგან თანა-ვერ გიგრძნობ,
მე ვითლა მემონები!

—

არ მიყვარხარ, დამეხსენ, ძალით ვერ შეგიყვარებ;
ხარ სხივთა მზეებრ მფენი, მაგრამ შავს ნისლს გადარებ.

—

უსწორო ხარ სახითა,
თანგრძნობითა აღსავსე,
სხივებთა მზეებრ მფენი
მით ეთერთ დასამზგავსუ.

—

მაგრამ შენსა სხივებსა შავსა ნისლსა ვადარებ,
ამის გამო, ლამაზო, მითხარ-რად შემიყვარებ!

—

მაგრამ გეტყვი ერთს რასმე,
გრძნობით მომაპყარ გული;
მფიცავ პატიოსნებას,
გირჩევ, როგორც ერთგული.

—

შეიყვარე მხოლოდ ის,
ვინც გრაცხს თავის ვარსკვლავად
ვინც ყოვლად გემონების,
გეტრფის განუსაზღრავად.

—

თორემა მე, ლამაზო, რისთვისლა შემიყვარებ,
რადგან შენსა სხივებსა შავსა ნისლსა ვადარებ!

—

იციი-რაოდენ ჰშორავს
ზღვას ხომლის კლდე მაღალი,
ანუ სხვებრ ვსთქვათ,
აღსავალს დასავალის სამზღვარი?

—

ესდენ ჰშორავს ჩვენ შორის
ურთი-ერთისა ტრფობა;
რადგან სხვა უძს საგანი
დატანჯულს ჩემსა გრძნობას . . . .

—

შემდექ ამისა, ლამაზო, მე ვითლა შემიყვარებ;
რადგან შენსა სხივებსა შავსა ნისლსა ვადარებ!.

—

ეგე ჩემგან თხრობილი,
ვაი თუმცა გეწყინოს;
და მით გულსა დაღრუბლულს
კვლავ წყენა გარდგეფინოს!

—

მაგრამ, ჩემო ლამაზო,
იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა,
მაშინ- თვითვე გამოსცნობ:
მართლად გითხრობ, თუარა.

—

კუალავცა გეტყვი, დამეხსენ,
დამეხსენ, გამეცალე.
არ მიყვარხარ, რაგიყო,
ძალით ვერ შეგიყვარე . . . . .!

მეგრელი

5. დეკემბერს 1868 წელსა ს. ცხუკუშერი

სავაჭრო ცნობები.

თბილისის ოლქის სასამართლოს ბაქაულის თანამდებობის ამსრულებელი პეტრე ხანდამოვი, მცხოვრები თავის სახლში, პირველ განყოფილების მეოთხე ნაწილში ამით აცხადებს, რომ წელს აგვისტოს ოთხში თბილისის ოლქის სასამართლოში ისყიდება, მეორეთ შეუვაჭრებლათ, ერთ ეტაჟიანი დუქანი, რომელშიაც არის ფურნე, ეზოთი; ეს დუქანი არის 1 განყოფილების 1 ნაწილში, გალავინის პროსპექტზე. მიწა 45 კვად. საჟენია; ეკუთვნის თბილისში მცხოვრებს გრიგოლ დავითოვს. ისყიდება ქვრივი ელისაბედ გალიოზოვის და იმის ობლების ვალში, რომელიც შეადგენს 720 მანეთს. ეს ფურნე არის დაფასებული 3,500 და გირაოთა აქვს 1,600 მანეთში არუთუნ ბურგენოვს.

დაწვრილებით აღწერა ამ ფურნისა და ეზოსი შეიძლება ნახონ ყოველ დღე 10 დგან 1 საათამდე თბილისის ოლქის სასამართლოში, ბაქაულ ხანდამოვთან

ქუთაისის გუბერნიის სამმართველომ, თვის გარდაწყვეტილობისამებრ, დანიშნა თავის თანდასწრებით აგვისტოს 4-ს ვაჭრობა, მესამე დღეს მეორეთ ვაჭრობით, ორ—ეტაჟიანი ქვითკირის სახლისა—ეზოთი, რომელიც არის ქუთაისში და ეკუთვნის დიასამიძის ობლებს. ეს სახლი არის დაფასებული 3800 მანეთად, დაგირავებული აქვს 5440 მანეთში გენერალ მაიორის მეუღლეს სოფიო გურიელისას და ამ ვალში იყიდება.

ვისაც უნდა იყიდოს ეს სახლი და მამული, შეუძლია მივიდეს ქუთაისის გუბენიის სამმართველოში დანიშნულს ვადაზე, სადაც ნახავს დაწვრილებითი სიას.—

კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზის განკარგულებით გორის უეზდის სამმართველოში არის დანიშნული ვაჭრობა აგვისტოს თოთხმეტს, კანონიერის ხელმეორე ვაჭრობით, მამული თავ. ელიზბარ პავლეს ძის ერისთავისა, მდებარებს გორის უეზდში, სოფ. ქარალეთში და ფქვიავში; ეს მამული იყიდება იმიტომ, რომ თ. ერისთავს უსესხია პრიკაზიდგან 10,000 მან. და ყოველ წლობით შესატანი ფული არ შეუტანია.

ვისაც ამ მამულის ყიდვა უნდა, შეუძლია ნახოს იმისი დაფასებისა და აღწერის ქაღალდები გორის უეზდის სამმართველოში.

იბეჭდება და ივნისის დასასრულს გამოვა

ქართული

ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი

უ. ი. გოგებაშვილისა.

(მეოთხე გამოცემა).

საქართველოს კარტა ქართულ ენაზედ, სქელ და თეთრ ქაღალდზედ დაბეჭდილი, ისყიდება მელიქიშვილის და კ. სტამბაში და სასულიერო სემინარიაში. ფასი 30 კაპეიკი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го іюня 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი და გამომცემელი ს. მესხი.